საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-662

15/07/2019

ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედში ფ/პ ალექსანდრე ფირცხალაიშვილის მიერ სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ალექსანდრე ფირცხალაიშვილის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედში სასათბურე მეურნეობისთვის სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, სოფ. შემოქმედში ფ/პ ალექსანდრე ფირცხალაიშვილი გეგმავს სამელიორაციო სისტემის მოწყობას 1 100 $м^3$ ფართობის მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდ. X- 256863.00 ; Y- 46446100.00); (ს.კ 26.18.15.211).

საპროექტო ტერიტორიიდან, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 15 მეტრით. ტერიტორიის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის სასათბურე მეურნეობა არ ფუნქციონირებს.

სათბურში მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა სხვადასხვა სახეობის ყვავილებისთვის. წყლის სამარაგო სისტემისთვის გათვალისწინებულია 10 $м^3$ მოცულობის ავზი. წყლის ამოღება მოხდება ჭიდან ტუმბოს საშუალებით. ჭის სიღრმეა 12 მეტრი. ავზს წყალი მიეწოდება 25 სმ-იანი პლასტმასის მილით. ჭა წყლის ავზიდან და სასათბურე მეურნეობიდან დაშორებულია 50 მეტრით. წელიწადში გათვალისწინებულია 480 $м^3$ წყლის გამოყენება სათბურში დარგული მცენარეების მოსარწყავად.

ზამთრის პერიოდში სათბურის გათბობა გათვალისწინებულია შეშაზე და ქვანახშირზე მომუშავე 240 კვ-იანი ქვაბით. სისტემა ცხელ წყალს საცირკულაციო ტუმბოს მეშვეობით მიაწოდებს სასათბურე მილებს. წლის განმავლობაში ღუმელი იმუშაობს 120 დღის განმავლობაში. სასათბურე სისტემაში დამონტაჟებულია სარეზერვო 180 კვ.იანი ქვაბი. ქვაბები აღჭურვილია საკუთარი საკვამურებით.

საქვაბე და სარწყავი ავზი განთავსებულია სათბურის გვერდით, ფ/პ ალექსანდრე ფირცხალაიშვილის საკარმიდამო ნაკვეთზე.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პერიოდში არ იგეგმება მიწის სამუშაოების ჩატარება, შესაბამისად არ არის მოსალოდნელი ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება.

ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს წყალსაქაჩი ტუმბო, რომლის ხმაურის დონე არ აღემატება 45 დეციბალს.

ნარჩენების სახით მოსალოდნელია შეშის და ქვანახშირის წვისას წარმოქმნილი ნაცარი, რომელიც გამოყენებული იქნება საკარმიდამო ტერიტორიაზე სასუქის სახით.

საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სასათბურე მეურნეობის ფუნქციონირებისას სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული იქნება წყლის სამარაგო 10 $მ^3$-იანი წყლის ავზი და ჭის წყალი.

სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობის პროცესში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკი არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. შემოქმედში, ფ/პ ალექსანდრე ფირცხალაიშვილის მიერ სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ ალექსანდრე ფირცხალაიშვილმა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ. ალექსანდრე ფირცხალაიშვილს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ალექსანდრე ფირცხალაიშვილის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის რაიონის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი